საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება

N 191 2020 წლის 30 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს პრეზიდენტის დროშის

დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს პრეზიდენტის დროშა თანდართული სახით.

მუხლი 2. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სალომე ზურაბიშვილი

საქართველოს პრეზიდენტის

2020 წლის 30 ივლისის

N 191 ბრძანებულების

დანართი

საქართველოს პრეზიდენტის დროშა

საქართველოს პრეზიდენტის დროშა არის კვადრატული ფორმის თეთრი ალამი. ალმის შუაგულში მოთავსებულია საქართველოს მცირე სახელმწიფო გერბის ფარი, რომლის მეწამულ ველზე გამოსახულია ოქროს ჯვრით დაბოლოებული ვერცხლის შუბით ვერცხლის გველეშაპის განმგმირავი ვერცხლის მხედარი – წმინდა გიორგი ოქროს შარავანდედით. საქართველოს პრეზიდენტის დროშას შემოვლებული აქვს წითელი არშია წითელი კუწუბებით შიგნითა მხრიდან.

საქართველოს პრეზიდენტის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

N 03/08/01 2020 წლის 3 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოს პრეზიდენტის დროშის აღმართვისა და გამოფენის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად და „საქართველოს პრეზიდენტის დროშის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 30 ივლისის N191 ბრძანებულების გათვალისწინებით, დამტკიცდეს „საქართველოს პრეზიდენტის დროშის აღმართვისა და გამოფენის წესი“ თანდართული რედაქციით.

სალომე ზურაბიშვილი

საქართველოს პრეზიდენტის

2020 წლის 3 აგვისტოს

N 03/08/01 განკარგულების

დანართი

საქართველოს პრეზიდენტის დროშის აღმართვისა და გამოფენის წესი

1. საქართველოს პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტის ხელმარჯვნივ აღიმართება საქართველოს სახელმწიფო დროშა, ხელმარცხნივ - საქართველოს პრეზიდენტის დროშა.



2. საქართველოს პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლისას ორი დროშის (საქართველოს სახელმწიფო დროშა და საქართველოს პრეზიდენტის დროშა) ხელმარჯვნივ აღმართვისას, საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება კიდეში პირველი.



3. საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში, ასევე საქართველოს პარლამენტში საქართველოს პრეზიდენტის ყოფნისას, წარმომდგენი შენობის ხელმარჯვნივ აღმართულია საქართველოს სახელმწიფო დროშა, ხელმარცხნივ – საქართველოს პრეზიდენტის დროშა.



4. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციის, ასევე საქართველოს პარლამენტის დატოვებისას, წარმომდგენი შენობის წინ საქართველოს პრეზიდენტის დროშა დაეშვება.



5. საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში, საქართველოს პარლამენტში, საქართველოს პრეზიდენტისათვის მუდმივად გამოყოფილი ადგილის ხელმარჯვნივ აღიმართება საქართველოს სახელმწიფო დროშა, ხელმარცხნივ – საქართველოს პრეზიდენტის დროშა, პრეზიდენტის შენობაში ყოფნის მიუხედავად.





6. საქართველოს პარლამენტში საქართველოს პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლის წინ საქართველოს პრეზიდენტისათვის მუდმივად გამოყოფილი ადგილიდან საქართველოს პრეზიდენტის დროშა საპატიო დაცვის თანხლებით გადადის და აღიმართება საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში, საქართველოს სახელმწიფო დროშის მარცხნივ. სიტყვის დამთავრების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზის დატოვებისას, საქართველოს პრეზიდენტის დროშა საპატიო დაცვის თანხლებით კვლავ ბრუნდება მისთვის მინიჭებულ ადგილას.



7. საქართველოს პრეზიდენტის გადაადგილებისას ყველა სატრანსპორტო საშუალებაზე ხელმარჯვნივ აღმართულია საქართველოს სახელმწიფო დროშა, ხელმარცხნივ – საქართველოს პრეზიდენტის დროშა.



საქართველოს პრეზიდენტის
ადმინისტრაციის უფროსი

№4076
03 / აგვისტო / 2020 წ.

საქართველოს პარლამენტთან არსებულ
ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს

„სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე - 7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გეგზავნებათ „საქართველოს პრეზიდენტის დროშის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 30 ივლისის N191 ბრძანებულება.

ასევე, გიგზავნით „საქართველოს პრეზიდენტის დროშის აღმართვისა და გამოფენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 3 აგვისტოს N03/08/01 განკარგულებას.

დანართი: 10 (ათი) ფურცელი.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
ნათია სულავა